# ენერგო უსაფრთხოების გავლენა საგარეო პოლიტიკურ კურსზე

**ომარ თურმანიძე**

მაგისტრი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (მიმართულება - საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ზარინა ბურკაძე

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2022**

# განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრი

29.06.2022

# აბსტრაქტი


საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების თანახმად ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რასაც მოწმობს 20016 წლის "ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება საქართველოს შეერთების შესახებ", რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა ერთი წლის შემდეგ განახორციელა. ამ ხელშეკრულების თანახმად საქართველომ იკისრა ვალდებულებები, რომლის დაცვა წინაპირობას წარმოადგენს მისი ენერგეტიკულ გაერთიანებაში გასაწევრიანებლად. ამ პირობების შესრულება ენერგეტიკულ ბაზარზე რეფორმების განხორციელებას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი კანონმდებლობა და აღნიშნულით გაამყარა ინსტიტუციური ჩარჩო, კვლავ რჩება საჭირო პრაქტიკული და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება. უფრო კონკრეტულად, ეს გულისხმობს ენერგობაზრის დაცვას ფასების მკვეთრი და ხშირი ცვლილებისგან, ალტერნატიული რესურსების შექმნას და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის მზაობას. ზემოაღნიშნული პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვასთან.

პირველ თავში განხილულია ენერგოუსაფრთხოების მოდელები, მასში გადმოცემულია ენერგოუსაფრთხოების ძველი მოდელები, ენერგოუსაფთრხოების ახალი კონტექსტი, ძირითადი მოთხოვნები და ახალი ენერგობაზარი, ახალი მოდელები.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია ენერგოტრანზიტი სამხრეთ კავკასიაში, გზა რუსეთსა და ევროპას შორის. ამ თავში შესწავლილია ენერგოუსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში, ევროკავშირის როლი ენერგოუსაფთრთხოების გამოწვევებთან მიმართებაში, ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკური ასპექტები.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია ენერგოუსარფრთხოების საკითხები: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. განხილულია გაზის ფაქტერები საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში. ნაშრომის ბოლოს ჩამოყალიბებულია დასკვნები და რეკომენდაციები.